რესურსის სათაური	**ადამიანის უფლებები - სიძულვილის ენა**
ავტორი/ავტორები	*ნინო გვარამაძე*
სამიზნე აუდიტორია	**საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მასწავლებლები**
პრაქტიკული გამოყენება	**ადამიანის უფლებების სწავლება საბაზო საფეხურზე**
რესურსის ტიპი	**სავარჯიშო**
მიზანი	**მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ადამიანის უფლებების სწავლებაში**

სიძულვილის ენა

სიძულვილის ენას ხშირად აიგივებენ ყველა ტიპის ნეგატიურ გამონათქვამთან. შეურაცხმყოფელი, ცილისმწამებლური თუ დისკრედიტაციისთვის მომზადებული მასალები სიძულვილის ენად აღიქმება. რეალურად, მათ შორის დიდი განსხვავებაა. იმის გამო, რომ ყველა ქვეყანას სხვადასხვა უნიკალური კონტექსტი აქვს, რთულია განსაზღვრო, რა არის სიძულვილის ენა, რომელი ტერმინები, ფრაზები და გამონათქვამები გააძლიერებს ნეგატიურ დამოკიდებულებას რომელიმე პირის მიმართ. მიუხედავად ამისა, არსებობს შეთანხმება თუ რას ეფუძნება სიძულვილის ენა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, "<u>სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებული შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით".</u>

ცხადია, რომ სიძულვილის ენა ადამიანის უფლებებთან არის კავშირში. როგორც განმარტებიდან ჩანს, ის გამოხატვის ფორმაა. ამიტომ ხშირად ძნელია გამოხატვის თავისუფლებასა და სიძულვილის ენას შორის საზღვრის გავლება.

"თავისუფალ სიტყვასა და სიძულვილის ენას შორის ზღვარი უმნიშვნელოა. თავისუფალი სიტყვა ხელს უწყობს დისკუსიას, ხოლო სიძულვილის ენა აქეზებს ძალადობას."

ნიუტონ ლი, კონტრტერორიზმი

და კიბერ-უსაფრთხოება:

ინფორმაციის შესახებ

სრულყოფილი ცნობიერება

გამოხატვის თავისუფლებაზე საუბრისას შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" და საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ."

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე–10 მუხლის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება ყველასთვის აღიარებულია, თუმცა ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და იგი შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას (მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ უფლებით სარგებლობით ირღვევა სხვათა უფლებები და თავისუფლებები).

„რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის" შესახებ არსებული კონვენცია - https://smr.gov.ge/uploads/prev/__9b81c7c4.pdf - გაცილებით მეტ მოთხოვნებს უყენებს ხელმომწერ სახელმწიფოებს და ავალდებულებს მხარეებს, რომ რასიზმსა და სიძულვილზე იდეების გავრცელება დასჯად ქმედებად გამოაცხადონ .

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე–20 მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში აკრძალონ „ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ მიმართული ყოველგვარი გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება“.

სიძულვილის ენის სამიზნე შესაძლოა იყოს ნებისმიერი ადამიანი. თუმცა, ევროპაში რამდენიმე ჯგუფი სიძულვილის ენის სისტემატური სამიზნეა: ებრაელები, მუსლიმები ან სხვა რელიგიური ჯგუფები, ქალები, მიგრანტები და ეთნიკური უმცირესობები, ბოშები, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ა.შ. სამიზნე ჯგუფები განსხვავდებიან ქვეყნების მიხედვით. სიძულვილის ენა სხვადასხვა ტიპის უარყოფით გავლენას ახდენს მსხვერპლზე, სამიზნე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე, ისევე, როგორც მთლიანად საზოგადოებაზე. ადამიანები სიძულვილის ენის სამიზნეები შესაძლოა გახდნენ ერთზე მეტი ნიშნით - მაგალითად, როგორც ქალები და როგორც მიგრანტები.

ევროპაში სიძულვილის ენასთან დაკავშირებით გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ასეთი მიდგომის ჩამოყალიბება მეორე მსოფლიო ომმა და მისმა გამომწვევმა მიზეზებმა განაპირობა. მაგალითად, დღესდღეობით სიძულვილის ენის მარეგულირებელი ნორმები არსებობს დანიაში, სადაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია რასისტული სიძულვილის გამოხატვა და გავრცელება; საფრანგეთის კანონმდებლობით დასჯადია რასისტული დისკრიმინაციისკენ, სიძულვილისკენ ან ძალადობისკენ წაქეზება.

შიდა მოხმარების დოკუმენტებში სიძულვილის ენის შეზღუდვის დასარეგულირებლად ზოგიერთ საჯარო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი ან თანამშრომელთა სახელმძღვანელო. ცალკეულ შემთხვევებში, სიძულვილის ენის აკრძალვას უწყებები შინაგანაწესით ან დებულებით ითვალისწინებენ.

როდესაც ვსაუბრობთ სიძულვილის ენაზე, უნდა დავფიქრდეთ, რა გავლენა და ზიანი მოაქვს მას ადამიანებისთვის, ადამიანთა ჯგუფებისთვის და, ზოგადად, საზოგადოებისთვის. ეს გავლენა განსაკუთრებით მძაფრია საჯარო სივრცეში, ვინაიდან საჯარო პირებს ფართო აუდიტორიაზე აქვთ გავლენა.

სწორედ ამიტომ, მათ მოეთხოვებათ, რომ თავი შეიკავონ სიძულვილისა და სტიგმატიზაციის ენის გამოყენებისგან და დაგმონ სხვების მიერ სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები. ნებისმიერი ტიპის სიძულვილის ენა ცუდია, თუმცა, ზოგჯერ ის შესაძლოა განსაკუთრებულად მწვავე იყოს. მაგალითად, სიძულვილის ენის გამოყენების კონკრეტული შემთხვევა, შესაძლოა იყოს უფრო მეტად შეურაცხმყოფელი, დამაზიანებელი და მეტ ადამიანზე ახდენდეს გავლენას მხოლოდ იმიტომ, რომ სიძულვილის ენის ავტორებს სოციალური მედიის პლატფორმებზე ფართო აუდიტორია ჰყავდეთ. სიძულვილის ენის გამოყენების შედეგად, შესაძლოა გაიზარდოს მათი მიმდევრების რაოდენობა და ჩართულობა.

მნიშვნელოვანია, ვებრძოლოთ არა მხოლოდ სიძულვილის ენის გამოვლინებას, არამედ მის გამომწვევ მიზეზებსაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას უნდა დავუპირისპირდეთ საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფს შორის არსებული ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების დონეზე. სიძულვილი ასაზრდოებს რასიზმს, სექსიზმს და ნეგატიურ სტერეოტიპებს. თუ ჩვენ მას თავიდანვე არ დავუპირისპირდებით, ის დამკვიდრდება ჩვენს საზოგადოებაში, გაამყარებს სტერეოტიპებს და გადაიზრდება უფრო საშიშ ქმედებებში, მათ შორის, ფიზიკურ ძალადობაში. ამ შემთხვევაში, სიძულვილის ენა გადაიზრდება სიძულვილით

მოტივირებულ დანაშაულში. ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებს, როგორიცაა მაგალითად, გენოციდი და ეთნიკური წმენდა, წინ უსწრებს ან თან ახლავს სიძულვილის ენა.

ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ ადამიანის უფლებების სწავლებისას მასწავლებელი შეეხოს სიძულვილის ენის საკითხს.

სიძულვილის ენის იდენტიფიცირება

სიძულვილის ენის იდენტიფიცირება შემდეგი მახასიათებლებით არის შესაძლებელი:

გაუცხოება (ისინი vs. ჩვენ) - სიძულვილის იდეოლოგიისთვის დამახასიათებელია სამიზნე ჯგუფის ან ჯგუფების გაუცხოება და დიქოტომიის - "ისინი ჩვენს საპირწონედ" - შექმნა. ხდება სამიზნე ჯგუფებზე უპირატესობის ხაზგასმა, მათი იდენტობის საფრთხედ წარმოჩენა და, საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით, აუდიტორიის მობილიზება.

ობიექტი სუბიექტის ნაცვლად - მედია პლატფორმები, რომელთა სარედაქციო პოლიტიკა განსხვავებული იდენტობის ჯგუფების მიმართ დეკლარირებულად შეუწყნარებელია, როგორც წესი, უგულებელყოფენ იმ ჯგუფების წარმომადგენელთა მოსაზრებებს, რომლებსაც აშუქებენ. შესაბამისად, ამ ჯგუფების წარმომადგენლები ჟურნალისტური მასალის განსჯის ობიექტები არიან და არა სუბიექტები, რომლებიც, როგორც მხარე, სარედაქციო მასალებში საერთოდ უგულებელყოფილნი არიან.

დაშინების ტაქტიკა - საზოგადოების რადიკალიზაციის მიზნით, ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მედია პლტფორმები საფრთხეებთან დაკავშირებით განგაშის ვითარებას ქმნიან და საზოგადოებაში შიშს თესავენ; ამ მიზნით ყალბ ინფორმაციებს ავრცელებენ ან ამა თუ იმ ჯგუფის ინდივიდუალური წევრის ქმედების მთელ ჯგუფზე დაუსაბუთებელ განზოგადებას ახდენენ. დაშინების ტაქტიკა ხშირად გამოიყენება მიგრანტებთან მიმართებით.

ისტორიული ტრავმის გაღვივება - ფსიქოლოგები და სოციოლოგები ისტორიულ ტრავმას განმარტავენ, როგორც მრავალთაობიან ტრავმას, რომელსაც კონკრეტული კულტურული ჯგუფები განიცდიან. ისტორიული ტრავმის გაღვივებისთვის დამახასიათებელია წარსულის მოვლენებისა და პრობლემების თანამედროვე კონტექსტში გადმოტანა და კონკრეტული ეთნიკური თუ ეროვნული ჯგუფის, ასევე სახელმწიფოს წინააღმდეგ ემოციურ ნიადაგზე შუღლის გაღვივება. ამ დროს, ხშირად სიძულვილის ენის გამოყენება და რეალური პრობლემებიდან ყურადღების წარსულზე გადატანა, ასევე, ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზება ხდება.

ვიქტიმიზაცია - წარსულის განდიდების პარალელურად ხდება თვითვიქტიმიზაცია და მიზნის დასახვა, რომ წარსული დიდების დაბრუნება მხოლოდ "უცხოთა" დამარცხებით და განადგურებით არის შესაძლებელი.

გენეტიკური უპირატესობის განგების ნებით ახსნა - მოძველებულ და დამახინჯებულ ანთროპოლოგიურ ან გენეტიკურ თეორიებზე დაყრდნობით, რასისტული ჯგუფები ამტკიცებენ, რომ მათი გენეტიკური უპირატესობა ღვთიური თუ ბუნებითი ნებით არის განპირობებული, ხოლო სხვა ჯგუფები მოკლებულნი არიან ადამიანურობას. ამ შემთხვევაშიც ხდება მტრის განადგურებისა და სათანადო ადგილის დაკავების მიზნის დასახვა.

ფსევდო-მეცნიერება და ანეკდოტური მტკიცებულებები - იქმნება არაერთი ონლაინ პლატფორმა, მათ შორის ვებგვერდები და სოციალური ქსელის გვერდები, რომლებიც

მოძველებულ მეცნიერულ თეორიებს ან ანეკდოტურ მტკიცებულებებს ეყრდნობა, რათა სიძულვილის ენის სამიზნე ჯგუფების წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზება მოახდინოს.

ჯგუფური სოლიდარობის შექმნა - საერთო იდენტობაზე აპელირებით და გრძნობებით მანიპულირებით ხდება ჯგუფის წევრების "საერთო მტრის" წინააღმდეგ მობილიზება და მათი რადიკალიზაცია.

***<u>სავარჯიშოები</u>*:**

ქვემოთ მოგვყავს სიძულვილის ენის რამდენიმე მაგალითი. თითოეული მათგანის მოყვანისას მასწავლებელს შეუძლია დაუსვას მოსწავლეებს შემდეგი კითხვები:

1. რომელი სამიზნე ჯგუფისკენ არის მიმართული ეს გამონათქვამი?
2. რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს ამ სიტყვების გავლენა და რატომ?
3. გახსენდებათ თუ არა ანალოგიური მაგალითი?

N1

"ჰიტლერმა ისინი საკმარისი რაოდენობით არ დახოცა! " (ერთ-ერთი ქალაქის მერის საჯარო განცხადება ადგილობრივი ბოშა მოსახლეობის შესახებ).

N2

"თქვენ, ებრაელები, ჩვენს ქვეყანაში არავის დაუპატიჟებიხართ. მაშინ რატომ გვაგრძნობინებთ თავს ცუდად?" (ბლოგპოსტის ქვეშ დატოვებული კომენტარი. ბლოგპოსტი გამოხატავდა მწუხარებას ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალზე განხორციელებული ვანდალიზმის ფაქტის შესახებ).

N3

"მათ საზოგადოებაში არანაირი წვლილი არ შეაქვთ, გარდა დანაშაულის და გაუპატიურების შემთხვევების ოფიციალური მაჩვენებლის ზრდისა." (კომენტარი ინტერნეტში გამოქვეყნებულ სტატიაზე ევროპაში 2015 წლის ლტოლვილთა კრიზისის შესახებ. კომენტარს 622 მოწონება და კიდევ უფრო მეტი ნახვა ჰქონდა).

N4

"ქალები კაცებზე ნაკლებ ხელფასს უნდა იღებდნენ, რადგან ისინი უფრო სუსტები და ნაკლებად ჭკვიანები არიან." (ევროპარლამენტის წევრი).

ამ მაგალითების განხილვისას, თუ მასწავლებელი საჭიროდ ჩათვლის, მას შეუძლია მისცეს მოსწავლეებს დამატებითი განმარტებები (მაგალითად, ბოშების მდგომარეობაზე, ჰოლოკოსტზე), მაგრამ არ უნდა ჩამოშორდეს სიძულვილის ენის საკითხს.

მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს შემდეგი სავარჯიშო:

არის თუ არა ეს ფრაგმენტები სიძულვილის ენის მაგალითი და რა ტიპის გამონათქვამები გვაქვს?

1. განათლების სისტემა მოზარდებს „ოსმალიზაციისა“ და „არაბიზაციისთვის“ ამზადებს: „ჩვენ შვილებს სკოლის მერხიდანვე ასწავლიან და აგუებენ იმას, რომ საქართველოში მათ გვერდით იცხოვრებენ და მათთან ერთად ისწავლიან არაბები, აფროამერიკელები, სპარსები თუ ათასი ჯურის გადამთიელები!.. სკოლებში ქართველ ბავშვებს უკვე საქართველოს „ოსმალიზაციისა“ და „არაბიზაციისთვის“ ამზადებენ!“ („ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი).
2. განცხადება მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის, პოლიტიკურ პარტიებს, მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მედიას, რომ სამომავლოდ ქალთა გაძლიერებისთვის იმოქმედონ, რათა „მათ სრულად და თანასწორად მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ძალადობის ან შევიწროების შიშის გარეშე“ (ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული განცხადება).
3. თურქეთი ისტორიული მტერია: „ყველა ნორმალურმა ქართველმა, ლამის გენეტიკურ დონეზე იცის, რომ თურქი ნიშნავს მტერს!“ („ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი)
4. აზერბაიჯანი საქართველოს ტერიტორიის მიტაცებას ცდილობს: „ანუ აზერბაიჯანი ამ ტერიტორიას დემონსტრაციულად თავისად მიიჩნევს! მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-აზერბაიჯანული საზღვრის სწორედ ეს მონაკვეთია ასეთი პრინციპულად სადავო! აბა, არ არის ოსმალური ვირეშმაკობა?!“ („ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი).
5. ევანგელურ ბაპტისტური ეკლესია სატანისტური სექტაა: „...„სხვა აღმსარებლებში“, როგორც წესი, ე.წ. ტრადიციული კონფესიები (მაჰმადიანობა, იუდაიზმი, კათოლიციზმი) კი არ იგულისხმება, არამედ სატანისტი სექტები, რომლებიც წლების წინათ ერთი კრებითი სახელის – ხლისტი ბუდარა-ბუდარიხების – ქვეშ გავაერთიანე და სწორედ ერთმა ბუდარიხამ, ბაპტისტების დედაკაცმა-ეპისკოპოსმა [რუსუდან გოცირიძემ] ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ დაამუნათა სალომე ზურაბიშვილი...“ („საქართველო და მსოფლიოს“ ჟურნალისტი).

პირველი გამონათქვამი სიძულვილის ენის მაგალითია და ეთნიკური შუღლის გაღვივებას ემსახურება.

მეორე გამონათქვამი არ წარმოადგენს სიძულვილის ენას.

მესამე გამონათქვამი სიძულვილის ენაა და ეთნიკური შუღლის გაღვივებას ემსახურება.

მეოთხე გამონათქვამი სიძულვილის ენის მაგალითია. ყურადღება უნდა მიექცეს ბოლო წინადადებას. სწორედ ეს ნაწილი განიხილება სიძულვილის ენად.

მეხუთე გამონათქვამი სიძულვილის ენის მაგალითია და რელიგიური შუღლის გაღვივებას ემსახურება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სიძულვილის ენა 2019. ანგარიში http://mdfgeorgia.ge/uploads/library/183/file/Hate_Speech-Booklet-GEO-FINAL-compressed.pdf
2. ისაუბრე მშვიდობის ენით. ევროკავშირი საქართველოსთვის, ევროპის საბჭო
3. საერთაშორისო ორგანიზაციები: საქართველოში ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობა კვლავაც კრიტიკულ პრობლემად რჩება - https://civil.ge/ka/archives/571404
4. სიძულვილის ენის მახასიათებლები - https://millab.ge/ka/mil-resources/any/26/any/any/.